პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№96 (6161) 18 1978 წ. მაისი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

•

## «ტორპედო» — მოწინავეთა შორის

* * *

სურათზე: ქუთაისის „ტორპედოს" თავდამსხმელთა მორიგი იერიში „მეტალურგის" კართან.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

ქალაქი — სოფელს

## ყველანი შაბათობაზე, სათიბად, ამხანაგებო!

### 20 მაისს ჩვენს რესპუბლიკაში ეწყობა პირველი შაბათობა პირუტყვის საკვების დასამზადებლად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული საკვების დამზადებაზე. მისი მოპოვება, როგორც წერილშია ნათქვამი, უნდა ხდებოდეს ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია, და **ამ საქმეში აქტიურად უნდა ჩაებან სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, ინტელიგენცია, სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა.**

და აი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით **20 მაისს ჩვენს რესპუბლიკაში ეწყობა პირველი შაბათობა პირუტყვის საკვების დასამზადებლად.**

ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია რესპუბლიკის სახელი, გამოვა სათიბად. სოფლის მშრომელთა მხარდამხარ იმუშავებენ სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა კოლექტივების წარმომადგენლები, ინტელიგენცია, სტუდენტობა.

ეს უნდა იყოს პრაქტიკული ხორცშესხმა ლოზუნგისა — **„ქალაქი — სოფელს!".**

მეცხოველეობის ყოველმხრივი განვითარებისთვის ზრუნვა ჩვენი ხალხის ხვალინდელი დღისთვის ზრუნვაა.

მაშ, ყველანი შაბათობაზე! ყველანი თივის დასამზადებლად!

## მომავალი ოლიმპიელების მოსამზადებლად

**ყოველწლიურად** იზრდება იმ თანხის რაოდენობა, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო და პროფკავშირები ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ხარჯავენ. პროფკავშირთა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების განკარგულებაშია 2733 სტადიონი, 54 ათასზე მეტი ფეხბურთის მინდორი, 11 ათასი სპორტდარბაზი, 6 ათასი ტირი, 3811 საწყლოსნო საცურაო, 185 ათასი კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი. ეს ციფრები აღებულია 16 მაისს მოსკოვში პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს პლენუმზე გამოსული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. პოპოვის მოხსენებიდან.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულებმა აღნიშნეს, რომ მასობრიობისა და სპორტული ოსტატობის გაზრდისთვის აუცილებელია გონივრულად გამოიყენონ უდიდესი მატერიალური შესაძლებლობანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. ბოგატიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სპორტკომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. (საქ-ტასი).

## ვიეტნამელთა გეგმები

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სპორტსმენები გულმოდგინედ ემზადებიან მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის, რომელიც მათთვის ოლიმპიური პრემიერა იქნება. წლევანდელ სპორტულ სეზონში ვიეტნამელები შეჯიბრებებს ოლიმპიური თამაშების სისტემით ჩაატარებენ, რათა სპორტსმენებმა სათანადო პრაქტიკა მიიღონ. როგორც სპორტული მიმომხილველები აცხადებენ, ვიეტნამელებს დიდი წარმატების იმედი არა აქვთ, მაგრამ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მათი მონაწილეობა ეროვნული სპორტის აღორძინებისთვის ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

## ოქტომბრიდან — უმაღლეს ლიგაში

**საბჭოთა** კავშირის რეგბისტთა ნაკრებმა გუნდმა გუშინწინ იუგოსლავიის ქალაქ ტრავნიკში მეორე მატჩი გამართა იუგოსლავიის კოლექტივთან. როგორც ცნობილია, ეს გუნდები ევროპის პირველობის „ბ" ჯგუფის თავიანთ ზონებში გამარჯვებულნი იყვნენ და ახლა ერთმანეთთან დავაში არკვევდნენ იმ ერთადერთი საგზურის ბედს, რომელიც ოქტომბრიდან კონტინენტის უძლიერესი კოლექტივების ტურნირში მონაწილეობის უფლებას იძლეოდა.

საბჭოთა სპორტსმენებმა ახლაც დაამარცხეს მეტოქე — 16:6.



ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 18 მაისი.

**„ტორპედო" (ქუთაისი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — 3:0 (1:0).**

**„ტორპედო":** მჭედლიძე, სვანაძე, ხულაძველიძე, მელიქია, ფარულავა, თევზაძე, კვაჭანტირაძე (ა. კვერნაძე), ქვირია, ფესტვენიძე, შელია (ხუცურაული), გაბიჩვაძე (ბურკაძე).

**„მეტალურგი":** ხემიკოპენკო, ხოდუსი, დენეჟი, სლოვაკი, იშჩენკო, კლიუჩიკი, ანოშინი, გერჩიკოვი, გორბიკი (მარკოვი), ტიმოშენკო, ატამანიუკი (პეტროვი).

**მსაჯი ვ. კეჩინოვი (ტაშკენტი). დუბლიორები — 0:0.**

მინსკში მოპოვებული ფასდაუდებელი მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს" სატურნირო მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ კვლავ რეალობად იქცა დიდ მიღწევათა მოპოვების პერსპექტივები. ქუთაისელები გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნებული გამოვიდნენ მინდორზე და მატჩიც ამ რწმენის შესაფერისად ჩაატარეს.

ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" მოგებული შეხვედრის შემდეგ მაყურებელი დიდად კმაყოფილი ტოვებდა სტადიონს. ჯერ ერთი, შესრულდა მატჩის მოგების ამოცანა, ამას გარდა, სასიამოვნო იყო ისიც, რომ „ტორპედოს" ახალგაზრდა მოთამაშეებმა კარგად აუბეს მხარი გამოცდილ ფეხბურთელებს, ითამაშეს მაღალ ტაქტიკურ და ტექნიკურ დონეზე, მონდომებით და საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურეს. განსაკუთრებით აღვნიშნავთ სვანაძეს, თევზაძეს, ხუცურაულს. ისინი უნარიანად ირჩევენ ადგილს, არ აყოვნებენ ბურთის გადაცემას და კოლექტივიზმის კარგი გრძნობა გამოავლინეს.

ტორპედოელებს თამაშის დაწყებიდან სულ რამდენიმე წუთის შემდეგ მიეცათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა (შელია, ფესტვენიძე), მაგრამ სტუმრებსაც ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტები: 30-ე წუთზე მჭედლიძემ შეძლო ძნელი ბურთის აღება ტიმოშენკოსგან, მერე კვერნაძემ ზედ კარის ხაზზე მიუსწრო ბურთს და გუნდი იხსნა აშკარა გოლისაგან.

I ლიგა

მაინც, ქუთაისელთა უპირატესობა აშკარად შესამჩნევი იყო. მე-40 წუთზე ფესტვენიძემ „მეტალურგის" საჯარიმო მოედანზე მოიგო ბრძოლა დენეჟთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა უხეშად ითამაშა და მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა. იგი ზუსტად გამოიყენა ფარულავამ — 1:0.

მეორე ტაიმში სტუმრები საკმაო ხანს უმკლავდებოდნენ მეტოქეთა იერიშებს, მაგრამ ტორპედოელთა უპირატესობამ შედეგი მაინც გამოიღო: მე-60 და 75-ე წუთებზე ახალგაზრდა თავდამსხმელმა ხუცურაულმა ზუსტად გამოიყენა ფესტვენიძისა და თევზაძის გადაცემები — 3:0. ქუთაისელებმა დიდი ანგარიშით მოგება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „კუზბასი" (კემეროვო) — „დინამო" (ლენინგრადი) 1:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დინამო" (მინსკი) 1:1, „თერგი" (გროზნო) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 4:2, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კარპატი" (ლვოვი) 0:0, „პამირი" (დუშანბე) — „ნისტრუ" (კიშინოვი) 1:1, „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — ასკ (ოდესა) 2:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 3:2.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 18 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" | 8 | 6 | 2 | 0 | 15—4 | 14 |
| ასკ რ. | 9 | 4 | 4 | 1 | 18—10 | 12 |
| „ტორპედო" | 9 | 5 | 2 | 2 | 15—10 | 12 |
| „ტავრია" | 9 | 4 | 3 | 2 | 16—9 | 11 |
| „დინამო" მნ. | 9 | 4 | 3 | 2 | 15—10 | 11 |
| „კრ. სოვეტ." | 8 | 4 | 2 | 2 | 10—6 | 10 |
| „ნისტრუ" | 8 | 4 | 2 | 2 | 10—8 | 10 |
| „შინიკი" | 9 | 3 | 4 | 2 | 7—7 | 10 |
| „თერგი" | 9 | 5 | 0 | 4 | 11—13 | 10 |
| „კარპატი" | 8 | 4 | 1 | 3 | 10—8 | 9 |
| „ჟალგირისი" | 9 | 1 | 6 | 2 | 9—10 | 8 |
| „სპარტ." ორ. | 9 | 3 | 2 | 4 | 8—9 | 8 |
| „პამირი" | 9 | 1 | 6 | 2 | 6—8 | 8 |
| „კუზბასი" | 8 | 3 | 1 | 4 | 8—8 | 7 |
| „კოლხოზჩი" | 9 | 1 | 5 | 3 | 7—11 | 7 |
| „სპარტ." ი.-ფ. | 8 | 2 | 2 | 4 | 6—14 | 6 |
| „დინამო" ლ. | 9 | 1 | 3 | 5 | 10—15 | 5 |
| „მეტალურგი" | 9 | 0 | 5 | 4 | 6—13 | 5 |
| „ურალმაში" | 8 | 2 | 1 | 5 | 4—11 | 5 |
| ასკ ოდ. | 8 | 1 | 2 | 5 | 7—12 | 4 |

## გუშინ...

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" დუბლშემადგენლობათა შორის. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 2:0.

მშვიდობის ველორბოლა

## სამეული ფავორიტების გარეშე

**მშვიდობის** 31-ე ველორბოლამ მეხუთე ეტაპზე — პერა — კარლოვი ვარი — გადაკვეთა გდრ — ჩეხოსლოვაკიის საზღვარი. ამ 158-კილომეტრიან ტრასაზე, რომელიც უმეტესად მთებში გადიოდა, ყველას აჯობა კუბელმა ქ. კარდეტმა. მისი შედეგია 3 საათი, 54 წუთი და 25 წამი.

ამ ეტაპზე უძლიერესთა სამეულში ველორბოლის არც ერთი ფავორიტი არ შესულა. მომდევნო ადგილები ერგო იმ ქვეყნების სპორტსმენებს, რომლებსაც აქამდე თვალსაჩინო წარმატება არ ჰქონდათ. ფინიშთან მეორე იყო დ. ქილვერი (ბელგია) — 3:54.30, ხოლო მესამე — ფრანგი დ. ლებო — 3:54.35.

მათ შემდეგ კარლოვი ვარის სტადიონზე მოსულ ველოსიპედისტთა დიდ ჯგუფში იყვნენ ზ. შმაისერიც (გდრ) და ა. პიკუშისიც (სსრ კავშირი), ამიტომაც ხუთი ეტაპის მერე, როგორც პირად, ისე. გუნდურ ჩათვლაში ლიდერთა მდგომარეობა არ შეცვლილა: კვლავ წინ არიან შმაისერი, პიკუშისი და ა. გუსიატნიკოვი (სსრ კავშირი). გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრები ლიდერობს.

ჭადრაკი

## „ავანგარდი" — ავანგარდში

ორჯონიკიძეში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდებს შორის. თასი მოიპოვა „ავანგარდმა" (უკრაინა) — 36,5 ქულა 56-დან. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ დიდოსტატები ი. რომანიშინი, ა. ბელიავსკი, საერთაშორისო ოსტატები ა. მიხალჩიშინი (სამივე — ლვოვი), ლ. სემიონოვა, ოსტატები ლ. კაპლუნი, ბ. ტაბოროვი (სამივე — კიევი), ტ. მოროზოვა (ოდესა) და ოსტატობის კანდიდატი ნ. რუჩიევა (სევასტოპოლი).

„ავანგარდმა" პირველ ხუთ დაფაზე საუკეთესო შედეგს მიაღწია და გაისად იგი მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

*კრიზი, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ*

# რას მოგვიტანს ტური მეშვიდე?

**იყო დრო** (ფეხბურთის გარიჟრაჟზე), როდესაც „ბურთაობას“ მხოლოდ თვითონ მობურთავენი ესწრებოდნენ — თერთმეტ-თერთმეტი კაცი და კიდევ მსაჯი, თუ გნებავთ. მაგრამ ახლა საფეხბურთო სანახაობა წარმოუდგენელია ე. წ. „ცოცხალი კედლების“ — მაყურებლით სავსე ტრიბუნების გარეშე. „მოძრავი“ ტრიბუნები უფრო მეტ ეშხსა და ლაზათს აძლევს სპორტის ამ პოპულარულ სახეობას, აღვივებს და შეუპოვარს ხდის ტყავის ბურთის ოსტატთა ბრძოლას მწვანე მინდორზე — ერთი სიტყვით, დღეს ფეხბურთის მაყურებელი ასპარეზობის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ამიტომაც ბევრისთვის მოულოდნელი და გასაკვირი არ იყო პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციის მიერ წლევანდელ სეზონში დაწესებული გარდამავალი პრიზი „გუნდთან ერთად“. ჩემპიონატის ყოველი ტურის დამთავრების შემდეგ განისაზღვრება, ასე ვთქვათ, საუკეთესო კოლექტივი, რომლის ერთიანობა სამი კომპონენტისგან შედგება: გუნდი — სტადიონი — მაყურებელი. სწორედ მათი „შეხმატკბილებული მუშაობა“ — დისციპლინა, თავდაჭერა, კეთილმოსურნეობა, მზადყოფნა ასპარეზობისთვის — განაპირობებს წარმატებასა თუ წარუმატებლობას ამ პრიზის მოპოვების საქმეში. შედეგებს სეზონის ბოლოს, წიწილებისა არ იყოს, შემოდგომაზე დაითვლიან და შეაჯამებენ, მანამდე კი... ისლა დაგვრჩენია მოთმინებით (პირდაპირი და გადატანითი გაგებით!) დაველოდოთ ჩემპიონატის ფინიშს, ვიყოთ სამართლიანი, თავდაჭერილი ყოველ მატჩზე და, რომ იტყვიან, „ვუგულშემატკივროთ ჩვენს თავს“ ახალი პრიზის მოპოვების საქმეში.

„ლელოს“ რედაქციამ ამ თემაზე მკითხველთა ერთი და ორი საგულისხმო წერილი — წინადადება, რჩევა, შენიშვნა — მიიღო. ზოგიერთი მათგანი (ავტორები — პროფესორი ს. ჯორბენაძე, მემონტაჟე ე. ცერცვაძე, სტუდენტი გ. დანელია) გაზეთის ფურცლიდან თქვენს სამსჯავროზე გამოვიტანეთ.

დღეს, უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მეშვიდე ტურია. რას მოუტანს იგი ჩვენს გულშემატკივრებს... გუნდთან ერთად, როგორ ჩატარდება დარჩენილი ექვსი მატჩი (ტურის ბოლო, მერვე შეხვედრა გაიმართება ხვალ), რამდენ გაზრდიან ქულათა მარაგს საბჭოთა ფეხბურთის ახალი პრიზისათვის მებრძოლნი?

მკითხველებს ვთავაზობთ რედაქციაში მიმდინარე კვირას შემოსულ წერილთაგან კიდევ ორს. რა თქმა უნდა, მათი ავტორების მოსაზრებანი ერთნაირად მისაღებად არ მიგვაჩნია, მაგრამ ხომ ნათქვამია: „კამათში იბადება ჭეშმარიტება“.

## მკაცრად მოვუხმოთ წესრიგისკენ!

**ამ პრიზის** დაწესებამ ფეხბურთის მოყვარულებში (თუ ისინი ნამდვილი გულშემატკივრები არიან) დიდი მოწონება დაიმსახურა — ახლა ჩვენც გვეძლევა საშუალება დავეხმაროთ საყვარელ გუნდს საბჭოთა ფეხბურთის მთავარი ჯილდოს მოპოვებაში. მაგრამ, ქართული ანდაზისა არ იყოს „ერთმა ტალახიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო“. ჰოდა ასე მოუვიდა იმ ვაიგულშემატკივარს, კიეველებთან მატჩის დროს რომ „გამოიჩინა თავი“ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. თუმცა იმას რა? დანარჩენებმა (ასეთები კი, სასიხარულოდ, გაცილებით მეტი ვართ!) ვიკითხოთ: პირველ ადგილზე ვიმყოფებოდით, ერთბაშად კი 40 ქულა დავკარგეთ. (10 ქულა დამატებით კანთელაძის უხეში თამაშისთვის ჩამოგვაკლდა).

პირადად მე გულშემატკივრებს პირობითად სამ ჯგუფად დავყოფდი: 1) გულშემატკივარი, რომელსაც ახლოს მიაქვს გულთან თავისი გუნდის წარმატება თუ წარუმატებლობა, იზიარებს მის ჭირსა და ლხინს. 2) ე. წ. „ნახევარგულშემატკივარი“. ეს ტრიბუნაზე მჯდომთა ის კატეგორიაა, რომელიც მხარს უჭერს თავის გუნდს მხოლოდ მაშინ, თუ ის თამაშს იგებს, 3) „შემთხვევითი გულშემატკივარი“. ასეთები უმიზეზოდ ლანძღავენ მსაჯს (თუმცა თამაშის წესებისა არა გაეგებათ რა), ხელს უშლიან ჩვენს გუნდსაც, მეტოქეებსაც და, საერთოდ, ტრიბუნაზე მჯდომთაც.

ჩვენი ვალია განსაკუთრებით მკაცრად მოვეპყროთ ასეთებს, არამც და არამც არ „გავამხნევოთ“ ისინი და პირდაპირ მოვუწოდოთ ობიექტურობისკენ.

**რ. მეგრელიშვილი,**
თერჯოლის რაიონის
სოფელი რუფოთი.

## გუნდის ქომაგობა — ყველგან, ყველაფერში

**როგორ** მაყურებელს შეიძლება ვუწოდოთ ობიექტური? ჩემი აზრით ისეთს, ვინც გამოიჩენს თავაზიანობას და მიუკერძოებლობას მოთამაშეებისადმი, მსაჯებისადმი. დარწმუნებული ვარ, რომ არცერთი გულშემატკივარი თამაშის წინ არ არის გამსჭვალული ცუდი გრძნობებით. ფეხბურთი კი ისეთი სპორტია, რომელიც მთლიანად დაიმონებს ადამიანს და ზოგჯერ თავდავიწყებამდეც მიჰყავს იგი. შესაძლებელია, რომ ის „თავხედი გულშემატკივარი“ (როგორც მათ შემდგომში სამართლიანად ეწოდა) იმდენად იყო ანერვიულებული, რომ ანგარიში ვერ გაუწია თავის საქციელს, რის შედეგადაც ჩვენმა გუნდმა ქულათა საკმაოდ დიდი რაოდენობა დაჰკარგა.

სავსებით ვეთანხმები იმ აზრს, რომელიც სტადიონზე უშვერი სიტყვების წამოსროლის წინააღმდეგია. ეს, რა თქმა უნდა, არც ჩვენ გვარგებს და არც ჩვენს გუნდს. სამაგიეროდ, ვერ გავიზიარებ ე. ცერცვაძის წერილის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, „ზედმეტად მიმაჩნია მსაჯის გადაწყვეტილების გამო ხმამაღალი აღშფოთების გამოხატვა“. გამოდის, რომ სტადიონზე სრული სიჩუმე უნდა სუფევდეს? მოვიყვან ერთ ფაქტს, რომელიც ჩვენს სტადიონზე შემემთხვა: „დინამო“ უტევს. გუცაევი მარჯვენა ფრთაზე დინჯად მიიწევს კარისაკენ. მის წინ მცველია. ამ დროს „გაიხსნა“ კოსტავა. ვეღარ მოვითმინე და ანერვიულებულმა გავძახე გუცაევს: „გაუგდე მარჯვნივ“. ამის შემდეგ საკმარისი იყო კიდევ ერთხელ „მერჩია“ გუცაევისათვის პასის მიცემა, რომ ჩემს წინ მჯდომი მოხუცი მამაკაცი წამოდგა და შემომჩივლა: „გაჩუმდი, ყურები ამტკივდა!“ ვერაფერი ვუპასუხე.

რისთვის დადის ხალხი სტადიონზე? მხოლოდ თამაშის საყურებლად თუ საყვარელი გუნდის საქომაგოდ? პირადად მე ამ უკანასკნელს ვირჩევ და სწორადაც მიმაჩნია. თამაშის ყურება ხომ ტელევიზორითაც შეიძლება! სიჩუმე, კომფორტი, ფერადი გამოსახულება და რბილი სავარძელი, სხვა რომ არაფერი, ამინდიც შეგიშლის ხელს. სტადიონზე სულ სხვაა: საჭიროა გუნდის მხნევება, თამაშის რიტმზე აყო...

და ბოლოს გ. დანელიას წე... ლის შესახებ. მისი აზრი ფრ... საინტერესო და სავსებით და... ვებია, მაგრამ, ვფიქრობ, ავტ... სათანადოდ ვერ შეაფასა ჩვ... მაყურებელი. ყოველ შემთხვე... ში, მაყურებელთა უდიდესი ... რავლესობა ობიექტური და სა... ოდ გათვითცნობიერებულიც არ... ამის დასადასტურებლად მოვიყ... ფეხბურთის ერთ-ერთი სპეც... ლისტის აზრს: „თუ მოთამაშ... თბილისელმა მაყურებელმა და... ტვინა, ესე იგი მოთამაშეს რა... შეეშალა, რაღაც დააშავა“.

**თ. ჯანგულაშვილ...**
თბილისი.

# მწვანე შუქი — ავტოსპორტს!

**ჩვენი** პარტიის მიერ დასახული ამოცანა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი ზრდის შესახებ წარმატებით ხორციელდება. ამაში ნათლად დავრწმუნდებით თუ ცხოვრების დონის შემფასებელ ერთ-ერთ მაჩვენებელს — ავტომანქანის მფლობელთა რიცხვის ზრდას გადავხედავთ. ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე ეს მატება ასე გამოიყურება: 1972 წელს საკუთარი მანქანა ჰქონდა 100 ათასამდე ოჯახს, 1975 წელს — 150 ათასზე მეტს, ხოლო 1978 წელს ამ ციფრმა 200 ათასს გადააჭარბა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალურ მფლობელთა ასეთი ტემპით ზრდის პირობებში, ქუჩებსა და გზებზე შექმნილი ინტენსიური საგზაო მოძრაობისას მოყვარულ მძღოლთა კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული დაოსტატება, სატრანსპორტო საშუალებათა ღრმად ცოდნა და მანევრირების უნარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მოყვარულ მძღოლთა მოსამზადებელ, კარგად ორგანიზებულ ავტოსკოლებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებთან ერთად ამ საქმეში არანაკლები როლი შეიძლება შეასრულოს ავტოსპორტისა და ავტოტურიზმის შემდგომმა განვითარებამ და მისმა ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებამ.

მართალია, საავტომობილო საქმის განვითარებისთვის მოწოდებული ორგანიზაციები ავტომოტოსპორტის ფედერაციის ხელმძღვანელობით საკმაო ყურადღებას და ხარჯებს უთმობენ რესპუბლიკაში ავტოსპორტის განვითარებას, მაგრამ მასობრიობით მაინც ვერ დავიკვეხნით.

საქართველოს ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ გარკვეული მუშაობა გაწია მოსახლეობაში, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობასა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალურ მფლობელებს შორის საავტომობილო და სამოტოციკლო სპორტის პოპულარიზაციისთვის.

1976 წელს ჩვენი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან შეიქმნა ავტომოტომოყვარულთა სპორტულ-ტურისტული კლუბი. აქ საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეულია კლუბის საბჭო, ჩამოყალიბებულია სექციები, განაწილებულია ფუნქციები. ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების წევრთა შორის არიან მეცნიერებათა კანდიდატები, ინჟინრები, ფიზიკოსები, ბიოლოგები... ავტოკლუბის არსებობის მანძილზე ჩატარდა 10 ავტორალი ქალაქისა და რესპუბლიკის პირველობებზე. ორჯერ — 1976 და 1977 წლებში მოეწყო საქართველოს ტური, რომელშიც ჩვენი ქვეყნის დიდი ქალაქების ავტომოყვარულებიც მონაწილეობდნენ.

მარტო ავტორალში „საქართველოს ტური-1977“ 40 ეკიპაჟი ცდიდა ძალას.

კლუბის წევრები სისტემატურად იკრიბებიან, ტარდება ლექციები და სემინარები ავტოსპორტისა და ავტოტურიზმის შესახებ, აჩვენებენ და არჩევენ ფილმებს ავტოსპორტისა და მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე.

კლუბის მუშაობაში გარკვეული ყურადღება ეთმობა სპორტის ოსტატების, თანრიგოსნებისა და მსაჯების მომზადებას. საბჭოთა კავშირის პირველობაზე მონაწილეობის შემდეგ კლუბის ორ წევრს მიენიჭა სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება. მომზადებულია 10 პირველთანრიგოსანი.

შარშან ავტოკლუბის ათმა წევრმა მიიღო პირველი კატეგორიის მსაჯის წოდება. კლუბის თავმჯდომარის მოადგილეები, მეცნიერებათა კანდიდატები ნ. ყანჩაველი და რ. სარიჩევი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები არიან.

კლუბის წევრებს ხშირად იწვევენ საასპარეზოდ მოკავშირე რესპუბლიკებში. ბევრი მათგანი დაჯილდოებულია სამახსოვრო ვიმპელებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

რესპუბლიკური ავტოკლუბი თანხმათან ათართოებს ქსელს — საზოგადოების თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის საქალაქო და ლაგოდეხის, სამტრედიის რაიონულ საბჭოებთან შექმნილია ავტოკლუბები.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 33-ე წლისთავის აღსანიშნავად საინტერესო ღონისძიებები ჩაატარეს საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოსა და სამტრედიის რაისაბჭოს ავტოკლუბებმა. პირველმა ქალაქის ოოსაათის კომიტეტთან ერთად 14 მაისს მოაწყო ავტორალი, ხოლო მეორემ — ავტოგადარბენა: „სამტრედია — ნოვოროსიისკი — მცირე მიწა — სამტრედია“.

ავტომოტოსპორტი საინტერესო სპორტული სახეობაა. იგი ხელს უწყობს საჭესთან მჯდომთა პროფესიულ დაოსტატებას, მანქანის მართვის ხელოვნების დაუფლებას, ჯამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მასში უნდა მონაწილეობდეს ყველა ავტომოტომოყვარული, ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებათა ყველა მფლობელი.

**ზ. შანშიაშვილი,**
**საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.**

## ფინალს უმიზნებენ

**კრივოი** როგში ხუთ დღეს გრძელდებოდა საქალაქთაშორისო ტურნირი ბალახის ჰოკეიში ქალთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა კიევის „სტროიტელი“, ოდესის „ბურევესტნიკი“, პოლტავის ნაკრები, კრივოი როგის „კოლოსი“ და „ბოგატირი“, აგრეთვე ბათუმის „განთიადი“. შეჯიბრება ერთ წრედ ჩატარდა.

პირველ ტურში განთიადელები „სტროიტელის“ ძლიერ გუნდს შეხვდნენ და დამარცხდნენ — 1:3. მეორე ტურში კი ოდესის გუნდს მოუგეს — 1:0. შემდეგ ფრედ ითამაშეს პოლტავის სპორტსმენებთან. ამას მოჰყვა გამარჯვებები „კოლოსთან“ — 3:0, და „ბოგატირთან“ — 1:0. საბოლოოდ „განთიადმა“ (მწვრთნელი ზ. მჟავია) 7 ქულა მოაგროვა და II ადგილი დაიკავა. პირველი იყო „სტროიტელი“ (8 ქ.), ხოლო მესამე — „ბოგატირი“ (6 ქ.).

ივნისის პირველ რიცხვებში ჩვენი ქვეყნის ექვს ქალაქში დაიწყება საბჭოთა კავშირის ზონალური შესარჩევი პირველობა ბალახის ჰოკეიში ქალთა გუნ... შორის, სადაც 12 საუკეთესო ... ლექტივი გამოვლინდება. სწ... ისინი განაგრძობენ ბრძოლას ... ნალური საგზურებისთვის. ამ ... ჯიბრებისთვის ინტენსიურად ... ზადება ბათუმის „განთია... თქვა ბათუმელთა მწვრთნელმ... მჟავიამ, — ასეთი დიდი მა... ბის შეჯიბრებაში ბათუმელი ... გონები პირველად მონაწი... ბენ. ჩვენს ქვეჯგუფში ფინა... გასვლისთვის იბრძოლებენ ... კოვის ფიზკულტურის ინსტ... ტი, „კრილია სოვეტოვი“, ლე... რადის „პლანეტა“, შაუ... „ტაურასი“, ტალინის გუნდი... ჯიბრება წრიული სისტემით ... ტარდება. ბუნებრივია, ჩვენი ... ნდი გამოუცდელია და მაინც ... ნალური საგზურისთვის ვიბრ... ლებთ.

**ო მურვანი...**
(ჩვენი კ...)

ბათუმი.

### ✦ ზუგდიდი

გაიმართა ქალაქის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნურ კროსში. საშუალო სკოლებს შორის იმარჯვა მე-10 სკოლის ნაკრებმა. საშუალო-სპეციალური სასწავლებლების კოლექტივების ასპარეზობა № 62 პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებმა მოიგეს. საწარმო-დაწესებულებებში ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ საკონსერვო კომბინატის მძლეოსნები.

**კ. ფიფია.**

• • •

დოსაავის საქალაქო კომიტეტმა ენგურქაღალდკომბინატის ავტოდრომზე გამართა მსუბუქი მანქანებით ავტოორჭიდელთა შეჯიბრება, რომელშიც 16 სპორტსმენი მონაწილეობდა. იმარჯვა ნ. ცანავამ (ქალაქის ავტოინსპექცია).

**ზ. ალშიბაია.**

[illegible]

### ✦ აბაშა

კოდორის გზატკეცილზე ... რდა რაიონის მოსწავლეთა სპა... კიადის პროგრამით გათვალი... ბული შეჯიბრება ველოსპორ... საშუალო სკოლების მოსწავლ... 25, ხოლო რვაწლიანი სკოლ... წარმომადგენლები 15-კილო... რზე ასპარეზობდნენ.

25 კილომეტრზე შეჯიბრ... იმარჯვა ზანათის კოლექტ... მომდევნო ადგილები წი... ხვდათ მარნელ და სუჯუნელ ს... რტსმენებს.

15-კილომეტრიან დისტანცია... ყველაზე უკეთ მომზადებულ... მოჩნდნენ განათლებისკარის მ... წავლეები. II ადგილზე ნოღ... შის ველოსიპედისტები, III ... საგვაზავოელები.

**რ. ჯანტური...**

## ქალაქის პირველობაზე, გორში...

**გორში** დამთავრდა მძლეოსანთა საქალაქო პირველობა, რომლის სტარტზე 95 სპორტსმენი გამოვიდა. გუნდები ორ ჯგუფად დაიყვნენ. პირველში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ საწარმო-დაწესებულებების და პედინსტიტუტის, ხოლო მეორეში — მოსწავლეთა კოლექტივები.

ტურნირმა დაადასტურა, რომ „სპორტის დედოფალს“ გორში სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამის შედეგი გახლავთ ის, რომ მხოლოდ 17 მონაწილემ აჩვენა მესამე თანრიგის შედეგი და 16-მა — მოზარდთა თანრიგისა.

პირველ ჯგუფში იმარჯვა ბამბეულის კომბინატის გუნდმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა პედინსტიტუტის კოლექტივი, მეორე ჯგუფში უძლიერესი გახლდათ სპორტსკოლა.

ვერცერთ სახეობაში ჩათვლა ვერ მიიღეს „გორვაჭრობის“, № 9 სამშენებლო ტრესტის, 39-ე პროფტექსასწავლებლის სპორტსმენებმა. პედინსტიტუტის სტუდენტებმა ათი სახეობიდან მხოლოდ ... მში შეასრულეს სათანრიგო ... თხოვნები.

**ი. თევდორაშვილ...**

# გადასახედი

## ჩვენი მწვრთნელები

ზემო მაჩხაანს ფალავნები მუდამ გამოულეველად ჰყავდა და გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ორმოციანი წლები ყოფილა, როცა სოფელში პირველად შეამჩნიეს ტანმორჩილი, ჩაფსკვნილი ყმაწვილი. ერთი შეხედვით იგი სხვებისაგან, მასავით საფალავნოდ გამზადებული თანატოლებისაგან, ბევრით არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ ზემომაჩხაანელები რა ზემომაჩხაანელები იქნებოდნენ, მაზიაშვილებიანთ ბიძინასათვის კოჭებში არ შეემჩნიათ, ვინც იყო. ჭაბუკი კი ასეთი გახლდათ: ძალისმიერი ჭიდაობის მოძულეო, კაცი ვერ იტყოდა, მაგრამ გული უფრო ფანდისა და ხერხისაკენ მიუწევდა. ეტყობა, მოჭიდავეები ასეთებად იბადებიან: გამჭრიახებად, საზრიანებად, მოჭადრაკეებისა არ იყოს, წინასწარ რამდენიმე „საჭიდაო სვლის" გამომთვლელებად. ასეთ ფალავნებს მრავლად ჰყავთ გულშემატკივრები და ჭიდაობის შემდეგ ისინი, როგორც წესი, სამწვრთნელო მოღვაწეობას იწყებენ.

ყველა მოჭიდავის ბიოგრაფიაში ისეთი მომენტი, რომელიც სამუდამოდ რჩება მის მეხსიერებაში და მეტწილად განსაზღვრავს ათლეტის სპორტულ კრედოს. როცა ქვემო მაჩხაანის ტექნიკუმის მოსწავლე ბიძინა მაზიაშვილი ერთხელ იმპროვიზებულ ჭიდილში იოლად სძლია იქაურმა მჭედელმა პაწა მოსულიშვილმა („ჩემი თავი დიდი ვინმე რომ მეგონა, ისე მომისროლა, როგორც ნაფოტი"), მაშინ კი იფიქრა ჭაბუკმა: როცა მეტოქე ღონით გჯაბნის, მაშინ შენი ერთადერთი მშველელი და შემწე ხერხიაო. ჰოდა, იმ დღის შემდეგ ბიძინა მაზიაშვილი გამუდმებით ამდიდრებდა თავის ტექნიკურ-ტაქტიკურ არსენალს, სხვა ფალავნებისგან სწავლობდა, რადგან თავადაც მოჭიდავე უნდოდა ყოფილიყო.

მისი ჭაბუკური ხილვებისა და ოცნებების გმირი, ისევე როგორც ბიძინა მაზიაშვილის თაობის ყველა მოჭიდავისათვის, იყო ბეჭდაუდებელი ფალავანი არსენ მეკოკიშვილი. იგი, რკინის არსენა, უფრო მეტი იყო ორმოციანი წლების ახლად ულვაშაყრილი თაობისათვის, ვიდრე უბრალოდ ძლიერი მოჭიდავე, იგი იყო თავისებური იდეალი, ფალავანთა ფალავანი, რომელსაც ჰბაძავდნენ ახალგაზრდები, ლამის აღმერთებდნენ და ცდილობდნენ ჭიდაობაში დაემკვიდრებინათ ისეთივე გამორჩეული ადგილი, ჰქონოდათ ისეთივე მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილი საჭიდაო მანერა, როგორიც არსენ მეკოკიშვილს. ზოგმა მიაღწია თავის სანუკვარ მიზანს, საჩემპიონო ბილიკი გაკვალა და, თავისი კერპის მსგავსად, ჩემპიონის კვარცხლბეკზე აღზევდა, ზოგიც შედარებით უიღბლო აღმოჩნდა, საშუალო მოჭიდავის როლს ვერ გასცდა. მაგრამ, როგორც ბიძინა მაზიაშვილი იგონებს, იმ პერიოდში საჭიდაო ატმოსფერო დამუხტული იყო დევკაცის საოცარი გავლენით, რომელსაც არ შეიძლება სასიკეთოდ არ ემოქმედა ქართული ჭიდაობის ჯეჯილზე. მან, მეკოკიშვილმა, ჩაუნერგა მათ ძალების რწმენა და გამსჭვალა ისინი ეგრეთ წოდებული საჩემპიონო კომპლექსით. ამ ნიჭიერ ფალავანთა ტალღაში, მართალია, ბიძინა მაზიაშვილმა გამორჩეული ადგილი ვერ დაიმკვიდრა, მაგრამ თავისი ოსტატობით, მონდომებით, მიზანსწრაფვით მუდამ ითვლებოდა საიმედო მოჭიდავედ, როგორც იტყვიან, გუნდურ მებრძოლად. მასში, სამბოს თავისებურ და ნაცად ოსტატში, იმთავითვე იძალა მწვრთნელის, აღმზრდელის თანდაყოლილმა ინსტინქტმა. ჯერ საჭიდაო ხალიჩისთვის თავი არც კი ჰქონდა დანებებული, რომ უკვე მრავლად ჰყავდა ნიჭიერი შეგირდები.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ძიუდო, როგორც იტყვიან, თავისებური გზით დაფუძნდა და განვითარდა. როგორც ყოფილი კალათბურთელები იყვნენ პირველი ხელბურთელები, ასევე პირველ ძიუდოისტებად მოგვევლინენ ყოფილი სამბისტები. ძიუდოისტთა პირველ შეჯიბრებებში მათ ფაქტიურად ხალიჩაზე აუღეს ალღო მანამდე უცნობ იაპონურ ჭიდაობას. ჩვენს რესპუბლიკაში ძიუდოს ერთ-ერთი პიონერი სწორედ ბიძინა მაზიაშვილი გახლდათ. იგი სხვა უძლიერეს ქართველ სამბისტებთან ერთად (ოთარ სინჯიკაშვილი, შოთა დაუშვილი, გურამ სიმონიშვილი) ორმოცდაათიანი წლების მიწურულს „სასწრაფოდ" იცვლის საჭიდაო „პროფესიას" და იაპონურ კიმონოში გამოწყობილი გამოდის ძიუდოისტთა პირველ შეჯიბრებაში.

1957 წლის ნოემბერი საბჭოთა ძიუდოისტებისთვის პირველი საერთაშორისო ნათლობა გახლდათ. ჩვენმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ბიძინა მაზიაშვილიც იყო, ამხანაგური მატჩი გამართა ბუდაპეშტში უნგრელ ძიუდოისტებთან.

საბოლოოდ, ძიუდო აღმოჩნდა ჭიდაობის ის სახეობა, რომელსაც ბიძინა მაზიაშვილი სამუდამოდ დაუკავშირდა, როგორც მწვრთნელი-აღმზრდელი. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო ქართული ძიუდოს სკოლის ერთ-ერთი უპირველესი მეაკვნე, მისი აღიარებული მოღვაწე და ამაგდარი. საკმარისია დავასახელოთ ბიძინა მაზიაშვილის აღზრდილები, რომ საცნაური გახდეს მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა. ფარნაოზ ჩიქვილაძე, გოდერძი ნონიკაშვილი, გურამ გოგოლაური, ანზორ მარტყოფლიშვილი, გივი ონაშვილი, ჯიბილო ნიკარაძე, ამირან მუზაევი და სხვანი მისი უნიჭიერესი მოწაფეები არიან. მათ განსაკუთრებული რეკომენდაციები არც ესაჭიროებათ, რადგანაც სპორტის მოყვარულებმა კარგად იციან, რა თვალსაჩინო კვალი დააჩინეს საბჭოთა ძიუდოს განვითარებას.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უოფლოდ, უშრომლად არ მოსულა. ჩემპიონები ციდან არ ცვივიან, მათს ნიჭს გამოცდილი მჭედლის დარად ჭედს მწვრთნელი, აღმზრდელი, რომელსაც მოწაფეებისთვის არც დრო და არც ენერგია არ ენანება. მისი კეთილი საქმეები, მისი სიჭაბუკის ოცნებები, მეტწილად ახდენილი, ზოგიც აუხდენელი, ცოცხლობს მის ნიჭიერ მოწაფეებში. იგი ნიადაგ ახალგაზრდებს შორის ტრიალებს, აფრთიანებს ქართველ ძიუდოისტთა ახალ თაობებს, გზას უკვალავს დიდი სპორტისაკენ. იგი მუდამ ახალგაზრდაა სულით და ამიტომაც ასეთი იოლი აღმოჩნდა ბიძინა მაზიაშვილისათვის 50 წლის მიჯნა, მისი ცხოვრების შუადღე. ამ თავისებური გადასახედიდან უკეთ მოჩანს ამაგდარი აღმზრდელის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სამოღვაწეო ასპარეზი, მომავლის პერსპექტივები.

გ. ქორქია.

# ველოსპორტი

## ორივე ასაკში

**ერევნის** ტრეკზე ამ დღეებში გაიმართა ორი შეჯიბრება. აქ ჯერ მოეწყო საერთაშორისო ტურნირი სომხეთის ტელევიზიის დიდ პრიზზე, რომელშიც თბილისელმა სპორტის ოსტატმა პ. ჩევარდოვმა („დინამო") ორი პირველი ადგილი დაიკავა. მან ჯერ ჯგუფურ რბოლაში აჯობა ყველას, ხოლო შემდეგ — გუნდურ ასპარეზობაში. სსრ კავშირის პირველ ნაკრებ კოლექტივთან ერთად ჩევარდოვმა ორივეჯერ შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

შემდეგ სარბიელი დაეთმოთ სსრ კავშირის ახალგაზრდა ველოსიპედისტებს. აქაც თბილისის დინამოელმა ისახელა თავი: ე. გელაშვილმა ყველას აჯობა სპრინტში და ერთ კილომეტრზე გიტში.

მ. სამადაშვილი.

## ხაშურში, გზატკეცილზე

**ხაშურში** გაიმართა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში.

დაყოფილი სტარტით 25 კილომეტრზე ასპარეზობა მოიგო ნ. გოგოჭურმა (თბილისი I) — 36.20. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ს. სპირიდონოვი (რუსთავი II) — 37.05 და ა. ფომენკო (რუსთავი I) — 37.20.

50 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში იმარჯვა თბილისის პირველმა ნაკრებმა, რომლის შედეგია 1 საათი, 11 წუთი და 30 წამი. მას მხოლოდ 10 წამით ჩამორჩა რუსთავის პირველი გუნდი.

საერთო სტარტით 100 კილომეტრზე შეჯიბრება მოიგო სპირიდონოვმა. თბილისელი ტ. რთველიაშვილი ფინიშთან მეორე მივიდა, ხოლო ფომენკო მესამე იყო.

გუნდური პირველობა თბილისის პირველ კოლექტივს დარჩა. მომდევნო ადგილებზე არიან რუსთავის მეორე გუნდი და ქუთაისის ნაკრები.

დაკომპლექტდა „სპარტაკის" ნაკრები, რომელიც საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადაში იასპარეზებს.

ა. გაგუნია.

## ხუთ ეტაპზე

**საქართველოს** მოსწავლეთა პირველობა მრავალდღიან ველორბოლაში, რომელიც ხუთი ეტაპისგან შედგებოდა, მიზნად ისახავდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის ძალების შემოწმებას. სტარტზე გამოვიდა რუსთავის (2), თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და ზესტაფონის რაიონის გუნდები. სულ შეჯიბრებაში 42 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ცუდი ამინდების მიუხედავად, ტურნირმა ნორმალურად ჩაიარა. გამარჯვებული გამოვლინდა ბოლო ეტაპზე, რომლის ფინიში კოჯორში მოეწყო.

პირადი პირველობა მოიგო ჯ. ცივაძემ (აჭარა). მან ყველა ეტაპზე 4 საათი, 40 წუთი და 20 წამი დახარჯა. ცივაძეს 1.10-ით ჩამორჩა ა. დიმიტრენკო (რუსთავის მეორე გუნდი), მესამე ადგილზეა ვ. კორნევი (რუსთავი I) — 4:42.20.

გუნდური პირველობა რუსთავის პირველმა კოლექტივმა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აფხაზეთის ასსრ-ს ნაკრები და ქუთაისის გუნდი.

ა. გუნია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი.

# ფეხბურთი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

## I ჯგუფი

„სპარტაკი" (ცხინვალი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:2. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

ტაიმი მოიგეს რუსთაველებმა (გოლი გაიტანა ალადაშვილმა). ანგარიში 73-ე წუთზე გაათანაბრა ი. ძაგოევმა, მაგრამ კერესელიძემ კვლავ დააწინაურა „მეტალურგი".

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:3. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

ტყიბულელმა ფეხბურთელებმა დიდი მონდომებით ჩაატარეს მატჩი და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. 2 ბურთი გაიტანა გუმბერიძემ, 1 — ქარქაშაძემ.

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:1. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

ჭიათურელებს გამარჯვება მოუტანა გურულის ზუსტმა დარტყმამ.

„დურუჯი" (ყვარელი) — „მზიური" (გალი) 2:3. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

„მერცხალი" (მახარაძე) — „სპარტაკი" (თბილისი) 3:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) 3:3. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

ასკ (თბილისი) — „იბერია" (ქარელი) 3:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

არმიელი ჭითანავას გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში გაქვითა გურასპაშვილმა, მაგრამ შემდგომში მირზოევმა და ქუმსიაშვილმა კიდევ ორჯერ აიღეს სტუმრების კარი.

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:0. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

„ივერია" (ხაშური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

მიმდინარეობდა მატჩის 90-ე წუთი და სტუდენტები წინ იყვნენ ანგარიშით 1:0 (ქავთარაძე). ამ ბოლო წუთზე ფიზკულტურის ინსტიტუტის მეკარემ დაუშვა უხეში შეცდომა, რის შედეგად მასპინძლებმა იხსნეს ქულა.

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 18 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი" | 14 | 8 | 6 | 0 | 23—7 | 22 |
| „მეშახტე" | 13 | 9 | 3 | 1 | 18—5 | 21 |
| „კოლხეთი" ფ. | 13 | 9 | 2 | 2 | 28—7 | 20 |
| „მეტალ." რ. | 14 | 8 | 4 | 2 | 22—10 | 20 |
| „მზიური" | 13 | 8 | 3 | 2 | 25—11 | 19 |
| „მაღაროელი" | 13 | 8 | 1 | 4 | 24—15 | 17 |
| ფიზკ. ინსტ. | 14 | 7 | 2 | 5 | 21—22 | 16 |
| „კოლხეთი" ხ. | 14 | 5 | 6 | 3 | 9—10 | 16 |
| „ამირანი" | 15 | 6 | 4 | 5 | 11—17 | 16 |
| ასკ თბ. | 15 | 3 | 8 | 4 | 13—14 | 14 |
| „ჩიხურა" | 13 | 4 | 5 | 4 | 16—12 | 13 |
| „ენერგეტ." | 15 | 5 | 3 | 7 | 16—20 | 13 |
| „სპარტ." თბ. | 14 | 4 | 4 | 6 | 13—17 | 12 |
| „ივერია" ხ. | 14 | 4 | 4 | 6 | 9—15 | 12 |
| „სალხინო" | 14 | 3 | 6 | 5 | 14—21 | 12 |
| პოლ. ინსტ. | 14 | 5 | 1 | 8 | 20—21 | 11 |
| „სპარტ." ცხ. | 14 | 3 | 4 | 7 | 13—14 | 10 |
| „ეგრისი" | 15 | 2 | 6 | 7 | 7—20 | 10 |
| „იბერია" ქ. | 15 | 4 | 2 | 9 | 13—28 | 10 |
| „დურუჯი" | 14 | 4 | 2 | 8 | 11—26 | 10 |
| „მეტალ." ზ. | 14 | 3 | 3 | 8 | 17—20 | 9 |
| „ნადიკვარი" | 13 | 2 | 5 | 6 | 12—18 | 9 |
| „სქური" | 13 | 2 | 4 | 7 | 14—19 | 8 |

## II ჯგუფი

### I ზონა

„მესხეთი" (ახალციხე) — „ვარძია" (ასპინძა) 1:0, „სიონი" (ბოლნისი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 3:0, „არაგვი" (მცხეთა) — „განთიადი" (თბილისი) 1:1, „აბული" (ახალქალაქი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:0, „თრიალეთი" (წალკა) — ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) 0:0, „ცისკარი" (სიღნაღი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „იორი" (თიანეთი) 8:2. ადიგენის „განახლებას" გამარჯვება ჩაეთვალა საგარეჯოს „გარეჯთან".

### II ზონა

„მექალალდე" (ზუგდიდი) — „ნაკადული" (ჩხოროწყუ) 2:1, „შახტიორი" (ტყვარჩელი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:1, „სამგურალი" (წყალტუბო) — „იმერეთი" (წულუკიძე) 2:2, „ავტომობილისტი" (ბათუმი) — „ჩამომსხმელი" (ბორჯომი) 1:0, „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) — „მეშაქრე" (აგარა) 3:1, „ავტომობილისტი" (აბაშა) — „ნარუჯა" (მახარაძე) 0:0.

# საქართველოს ჩემპიონატი

## II ჯგუფი

### I ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიონი" | 10 | 7 | 2 | 1 | 30—10 | 16 |
| „მესხეთი" | 11 | 7 | 2 | 2 | 30—13 | 16 |
| „ალაზანი" | 10 | 6 | 3 | 1 | 31—10 | 15 |
| „ვარძია" | 10 | 6 | 2 | 2 | 22—10 | 14 |
| „აბული" | 10 | 6 | 2 | 2 | 18—10 | 14 |
| ტაქს. № 3 | 10 | 5 | 3 | 2 | 10—6 | 13 |
| „განახლება" | 11 | 5 | 2 | 4 | 17—16 | 12 |
| „იორი" | 11 | 6 | 0 | 5 | 27—29 | 12 |
| „გარეჯი" | 8 | 4 | 2 | 2 | 15—10 | 10 |
| „ქართლი" | 10 | 5 | 0 | 5 | 22—12 | 10 |
| „არაგვი" | 10 | 3 | 4 | 3 | 11—12 | 10 |
| „ჰერეთი" | 9 | 4 | 1 | 4 | 12—16 | 9 |
| „განთიადი" | 10 | 3 | 2 | 5 | 14—12 | 8 |
| „ფიჩხოვანი" | 11 | 2 | 4 | 5 | 18—29 | 8 |
| „გამარჯვება" | 11 | 2 | 4 | 5 | 13—29 | 8 |
| „ბახტრიონი" | 10 | 1 | 4 | 5 | 11—18 | 6 |
| „თრიალეთი" | 10 | 2 | 2 | 6 | 9—16 | 6 |
| „სამცხე" | 10 | 2 | 2 | 6 | 12—32 | 6 |
| „გარისი" | 9 | 2 | 1 | 6 | 13—24 | 5 |
| „ცისკარი" | 11 | 1 | 2 | 8 | 8—29 | 4 |

### II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი" | 9 | 5 | 4 | 0 | 26—9 | 14 |
| „ავტომობ." ბ. | 9 | 5 | 4 | 0 | 15—7 | 14 |
| „შუქურა" | 9 | 5 | 2 | 2 | 19—8 | 12 |
| „ჩამომსხმელი" | 11 | 4 | 4 | 3 | 17—15 | 12 |
| „სულორი" | 9 | 5 | 2 | 2 | 11—9 | 12 |
| „ბახმარო" | 10 | 4 | 4 | 2 | 15—11 | 12 |
| „მექალალდე" | 9 | 5 | 0 | 4 | 13—13 | 10 |
| „მეშაქრე" | 11 | 3 | 4 | 4 | 13—18 | 10 |
| „სამგურალი" | 9 | 3 | 3 | 3 | 9—9 | 9 |
| „ოჯალეში" | 9 | 4 | 1 | 4 | 10—11 | 9 |
| „ავტომობ." მ. | 9 | 4 | 1 | 4 | 15—17 | 9 |
| „ავტომობ." ა. | 9 | 2 | 4 | 3 | 7—9 | 8 |
| „ნაკადული" | 10 | 3 | 2 | 5 | 9—12 | 8 |
| „ავტომობ." გ. | 9 | 3 | 2 | 4 | 14—18 | 8 |
| „სენაკი" | 10 | 2 | 3 | 5 | 10—14 | 7 |
| „ნარუჯა" | 11 | 2 | 3 | 6 | 8—12 | 7 |
| „გიგანტი" | 9 | 1 | 4 | 4 | 9—14 | 6 |
| „შახტიორი" | 10 | 2 | 1 | 7 | 12—26 | 5 |

# საჯარიმო

განვლილ მატჩებში წესრიგის დარღვევისთვის გაფრთხილებული არიან შემდეგი ფეხბურთელები: ა. მაღლაკელიძე („იბერია", ქარელი), თ. კვარაცხელია (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), დ. გვენეტაძე („მეშახტე", ტყიბული), ზ. ბოჭორიშვილი („მეტალურგი", ზესტაფონი), ტ. ლომსაძე („მაღაროელი", ჭიათურა), თ. ხუბეჯაშვილი („ფიჩხოვანი", ახმეტა).

მსაჯის შეურაცხყოფისთვის ჯერ გაფრთხილებული, ხოლო შემდეგ მინდვრიდან გაძევებული იქნა ლაგოდეხის „ჰერეთის" მოთამაშე ვ. ონიანი.

• • •

რესპუბლიკური პირველობის გათამაშება I ჯგუფის გუნდებისთვის მიმდინარეობს მსაჯთა ბრიგადული მომსახურების მეთოდით, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც ბრიგადა სრული შემადგენლობით არ ჩადის თამაშის ადგილას, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მოხდა უარესიც. 13 მაისს, წალენჯიხის „სქურისა" და საჩხერის „ჩიხურას" შეხვედრას უნდა მომსახურებოდა ბათუმელ მსაჯთა ბრიგადა ნ. შავიშვილის, გ. ბაშკოვისა და კ. დავიდიანის შემადგენლობით. არც ერთი მსაჯი თამაშზე არ გამოცხადდა და კალენდარული მატჩი, რომელსაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა, ჩაიშალა. საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს არავითარი ცნობა არ მიუღია იმის თაობაზე, რომ მსაჯები არ აპირებდნენ წალენჯიხაში ჩასვლას, რათა დროზე შეეცვალა ისინი.

II ჯგუფში ინიშნება მთავარი არბიტრი, მაგრამ დებულების თანახმად ადგილობრივმა ფიზკულტურის კომიტეტმა უნდა სპეციალური ბრძანებით გამოჰყოს თავისი მსაჯი იმ შემთხვევისთვის, თუ დანიშნული მსაჯი არ ჩამოვიდა ადგილზე. დებულების ეს პუნქტი ხშირ შემთხვევაში ირღვევა და მატჩების მსაჯობა დაბალ დონეზე მიმდინარეობს.

ზემოაღნიშნულ მსაჯთა გარდა მატჩებზე გამოუცხადებლობის შემთხვევები ჰქონდათ ზ. თოდაძეს, ტ. ნიშნიანიძეს, მ. ლოსაბერიძეს (ყველა — ქუთაისი). ე. კაპანაძეს (ზესტაფონი), მ. ნიგოგოსიანს (ახალციხე), ნ. დათიაშვილს (რუსთავი). მათს საკითხს განიხილავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი და მიიღებს შესაბამის დადგენილებას.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

## სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 18 მაისი. ასკ-ს სტადიონი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი). დასაწყისი 16 ს.

# კალათბურთი

**იუგოსლავიის** ქალაქ პულში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საფრანგეთის, უნგრეთის, კუბისა და მასპინძელი ქვეყნის ნაკრებები მონაწილეობდნენ. გადამწყვეტ შეხვედრაში კუბელებმა მოუგეს იუგოსლავიის გუნდს 74:68 და პირველი ადგილი დაიკავეს. II ადგილზე მასპინძლები გავიდნენ. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: საფრანგეთი, უნგრეთი.




**კიროვოგრადის** რადიონაკეთობათა ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკებმა დაამთავრეს ოლიმპიადა-80-ისთვის მოძრავ ვიდეოჩანაწერ სადგურ პვს-4-ის საცდელი ნიმუშის წარმოება.

ტალინის სპორტული გემთშენების ექსპერიმენტული ნავსაშენი 1980 წლის ოლიმპიური საფროსნო რეგატისთვის ამზადებს „ფინისა" და „470" კლასების შვერტბოტებს.

მოსკოვის ოლიმპიადისთვის ელექტროტექნიკური მოწყობილობის მიმწოდებელია, აგრეთვე, უნგრეთის ფირმა „ელექტროიმპექსი".

# ელადის მიწაზე

**ათენი.** ძველი ელადის მიწაზე, სადაც საუკუნეების წინათ ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა და 1896 წელს გაიმართა პირველი თანამედროვე ოლიმპიადა (შეჯიბრებები სპორტის რამდენიმე სახეობაში), 16 მაისს გაიხსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია. მე-80 სესიის დღის წესრიგში 40-ზე მეტი საკითხია. სესია მოისმენს მოსკოვისა და ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადების საორგანიზაციო კომიტეტების ანგარიშებს თამაშებისთვის მზადების თაობაზე.

მოსკოვისა და საბჭოთა ქვეყნის სხვა ქალაქების გეგმიანი მზადების შესახებ უკვე აღნიშნეს სოკ-ისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებმა. სესიის მონაწილეებს უჩვენებენ სამ ფილმს — მოსკოვსა და ტალინზე, ოლიმპიადა-80-ისთვის მზადებისა და სსრ კავშირში სპორტის განვითარების შესახებ.

16 მაისს დილით სტუმრები იყვნენ ოლიმპიურ სტადიონზე. სესიის მონაწილეებს მიესალმნენ საბერძნეთის პრეზიდენტი კონსტანტინოს ცაცოსი და საბერძნეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გეორგი ათანასიადისი. სესიის ამოცანებზე ილაპარაკა სოკ-ის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა.

ტრადიციისამებრ, სოკ-ის წევრებმა, ფედერაციების ხელმძღვანელებმა, ჟურნალისტებმა დაათვალიერეს გიოტებორგის, საპოროსა და სარაევოს გამოფენები. ეს ის ქალაქებია, რომლებმაც განაცხადები შეიტანეს 1984 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის.

საღამოს აკროპოლის ძირას გაისმა ოლიმპიური ჰიმნი და გაიმართა სოკ-ის სესიის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. (საქდესი).

**მოსკოვი.** „სსრ კავშირი მტკიცედ და პრინციპულად იბრძვის ყოველგვარი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ამიტომ მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობა აფრიკის ყველა სპორტსმენისთვის საპატიო და საამაყოა", — საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ეთიოპიაში სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის დეპარტამენტის უფროსმა **ტ. დემისემ,** რომელიც საკავშირო სპორტკომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა მოსკოვში ეთიოპიის სპორტულ ხელმძღვანელთა დელეგაციის შემადგენლობაში. მან საუბარი დაიწყო შეკითხვით:

— რამდენი წელიწადი დასჭირდა ამ შესანიშნავი კომპლექსის, ნამდვილი სპორტული ქალაქის — ლუჟნიკის მშენებლობას?...

როცა პასუხი გაიგო, გაიღიმა და თქვა:

— საბჭოთა კავშირი ჭეშმარიტად რეკორდების ქვეყანაა...

— ესაა თქვენი მთავარი შთაბეჭდილება ამ მოგზაურობიდან?

— შთაბეჭდილებები უამრავია, მათს ჩამოთვლას დღეები სჭირდება, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ ვიყავით ქვეყანაში, რომელმაც მძიმე პერიოდში ჩვენს ხალხს ძმური სოლიდარობა გაუწია. ახლახან ეთიოპიაში იმყოფებოდა საბჭოთა დელეგაცია და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ეთიოპი ხალხისადმი საბჭოთა ქვეყნის მეგობრულ მხარდაჭერასა და თანაგრძნობას.

# ჩვენი დევიზი: «საბჭოთა კავშირთან მეგობრობა!»

სსრ კავშირში ჩვენ ერთი კვირა დავყავით, მაგრამ საკმაოდ ბევრი ვნახეთ. დავრწმუნდით, რომ თქვენს ქვეყანასთან ნებისმიერ სფეროში და მით უმეტეს სპორტში თანამშრომლობა ძალიან დიდ სიკეთეს მოგვიტანს.

— თქვენ ხომ გყავთ ოლიმპიური ჩემპიონები....

— სწორედ ამიტომ თქვენთან სპორტული თანამშრომლობა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აბებე ბიკილა მაშინ ამობრწყინდა, როცა ეთიოპიაში სპორტული მოძრაობა უკიდურესად დაბალ დონეზე იდგა. შემდეგ იყვნენ მ. ვოლდე, მ. გებრუ... ნამდვილი, ბრწყინვალე ტალანტები. მაგრამ რამდენი ნიჭიერი სპორტსმენი დარჩა ჩრდილში... ამისთვის კი საჭიროა მასობრივი სპორტული მოძრაობის განვითარება, რომლის განხორციელება შესაძლებელი იქნება დიდი სპორტული ნაგებობების მშენებლობით. ამ მხრივ ნაბიჯები გადადგმულია და ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში შენდება სპორტული კომპლექსები.

— და ეს ახლა, უცხოეთის ინტერვენციის შემდგომ მძიმე დღეებში?

— ჩვენ კარგად ვიცით, რომ სამოქალაქო ომის ძნელ დღეებში, რევოლუციის წლებში საბჭოთა მთავრობა დიდად ზრუნავდა სოციალისტური სამშობლოს დამცველი, ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად. ჩვენს წინაშე იგივე ამოცანა დგას და მისი გადაწყვეტა მით უფრო გაგვიადვილდება, ვინაიდან თქვენი მაგალითი, თქვენი მხარდაჭერა მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს.

— მაშასადამე, ეთიოპიაში სპორტული მშენებლობა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნების საკითხების დონეზე წყდება?

— დიახ. მასობრივი სპორტის განვითარება ჩვენ არა მარტო „ვარსკვლავებს" მოგვცემს, არამედ გაზრდის ჯანმრთელ ახალგაზრდობას, რომლისთვისაც ქვეყნის ფეოდალური წარსული მხოლოდ ისტორიის უსიამოვნო ფურცელი იქნება.

— როგორია თქვენი წინდა სპორტული ამოცანები?

— წლეულს ალჟირის აფრიკულ თამაშებში წარმატებით ასპარეზობა. მთავარი კი მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაა. (საქდესი).

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მეცხრამეტე ტირაჟისა, რომელიც 13 მაისს მოსკოვში მოეწყო.

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 172, სამისთვის — 6.

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 5000 მანეთია, ოთხისთვის — 112, სამისთვის — 4.

მოგებული თანხა გაიცემა 24 მაისიდან 24 ივნისის ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, მეოცე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

**„სპორტლოტო":** 4 (მთამსვლელობა), 7 (ბიატლონი), 14 (ფრენბურთი), 41 (ჩოგბურთი), 43 (ფარიკაობა), 46 (ჰოკეი). შეღავათიანი ბურთულა — 48 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო-2":** 4 (მთამსვლელობა), 16 (ტანვარჯიში), 22 (საციგურაო სპორტი), 25 (ტრამპლინიდან ხტომა), 27 (მოტოსპორტი), 32 (წყალში ხტომა). შეღავათიანი ბურთულა — 17 (მხატვრული ტანვარჯიში).

## შაში

## უმასპინძლებს თბილისი

**19 მაისს** თბილისში, ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნება (19 საათზე) ასუჯრიან შაშში ევროპის ქვეყნების ვაჟთა V გუნდური პირველობა. შეჯიბრებაში, რომელიც 29 მაისამდე გასტანს, მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, ჰოლანდიის, იუგოსლავიის, იტალიის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების გუნდები. მონაწილეთა შორის იქნებიან დიდოსტატები მსოფლიო ჩემპიონი ხ. ვირსმა (ჰოლანდია), სსრ კავშირის ჩემპიონი ა. განტვარგი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვ. შჩოგოლევი (სსრ კავშირი) და სხვ. პირველობის მთავარი მსაჯია შაშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო არბიტრი რ. პიკარი (ბელგია).

## მძლეოსნობა

**ლე-მანეს** (საფრანგეთი) სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში ჟ. ლელევრმა (საფრანგეთი) სპორტულ სიარულში ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 1 საათში 14 კილომეტრი და 382,7 მეტრი გაიარა. ძველი მსოფლიო მიღწევა, რომელიც მექსიკელ დ. ბაუტისტას ეკუთვნოდა, 1,7 მეტრით გაუმჯობესდა: ლელევრი 28 წლისაა, იგი პროფესიით საბაჟოს მოხელეა.

**პოტსდამში** ხუთჭიდში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზ. პოლაკმა გდრ-ის რეკორდი დაამყარა — 4638 ქულა მოაგროვა. ცივ, წვიმიან ამინდში მან 100 მეტრზე თარჯრბენში 13,4 წამი აჩვენა, 800 მეტრი 2.17,4-ში გაირბინა, ბირთვი 16,85 მეტრზე ჰკრა, 168 სმ სიმაღლე დაძლია და 625 სმ სიგრძეზე გადახტა.

**დასავლეთ გერმანიის** ქალაქ გეტინგენში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ქალთა შორის ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდსმენმა ჰ. ფიბინგეროვამ (ჩეხოსლოვაკია) წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი (21,42 მ) აჩვენა, ე. ვილმსი (გფრ) მეორე იყო — 18,94. მსაჯებმა წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი აღნუსხეს, აგრეთვე, სიმაღლეზე ხტომაში, სადაც ბ. ჰოლცაპფელმა (გფრ) 192 სმ გადალახა. მ. ვესინგმა (გფრ) შუბი 86,58 მეტრზე ტყორცნა.

**კინგსტონში** (იამაიკა) გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაზე კუბელმა სპრინტერმა ს. ლეონარდმა დაამარცხა ისეთი „ვარსკვლავები", როგორებიც არიან ოლიმპიური ჩემპიონი, მასპინძელი დ. ქვორი და ამერიკელი ჰ. მაკტირი. ლეონარდის შედეგია 10,19. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. მოზესმა (აშშ) 400 მეტრზე თარჯრბენში 48,62 წამი აჩვენა. მსოფლიო რეკორდსმენმა ფ. ბეიმ (ტანზანია) 1500 მეტრი 3 წუთსა და 38,44 წამში გაირბინა.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

**26 მაისს** თბილისში, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქ. № 5) 12 საათზე მუშაობას იწყებს „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს III პლენუმი.

### დღის წესრიგი:

1. ოლიმპიური რეზერვის მომზადების მიზნით რესპუბლიკის სასოფლო-ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის გაძლიერების შესახებ (მომხს. ვ. ჟღენტი).
2. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" გამომდინარე რესპუბლიკის სასოფლო-ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები (ნ. სომხიშვილი).

რეგისტრაცია იწარმოებს საზოგადოების ცენტრალურ საბჭოში 25-26 მაისს 9 საათიდან.

# ფიშერის იურიდიული «თამაშები»

**ნიუ იორკი.** გაზეთმა „ნიუ იორკ ტაიმსმა", სათაურით „ბობი ფიშერი გაიხლართა იურიდიულ დავაში", გამოაქვეყნა ჭადრაკში მსოფლიოს ექს-ჩემპიონისადმი მიძღვნილი წერილი.

„ამბასადორის" კოლეჯთან ახლოს აჩეჩილთმებიანი მაღალი კაცი მანქანებს შორის დარბოდა და ავტომანქანების საქარე მინებზე ქაღალდების დასტას ჩრიდა".

ეს გახლდათ ბობი ფიშერი, რომელიც იურიდიულ „ბრძოლას" აწარმოებს... „მსოფლიო ეკლესიის" ორგანიზაციასთან, რომელსაც ევანგელისტი კარნენ ტედი არმსტრონგი უდგას სათავეში.

ფიშერი მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1972 წელს. შემდეგ მან უარი განაცხადა შეჯიბრებებში მონაწილეობაზე, საცხოვრებლად პასადინში გადავიდა და ჩასახლდა ბინაში, რომელიც „მსოფლიო ეკლესიას" ეკუთვნოდა.

ამ სახლში მცხოვრებთა გადმოცემით ბობი დროის მნიშვნელოვან ნაწილს ცნობილი საჭადრაკო პარტიების გამეორებას ანდომებს. იგი კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ მსოფლიო ჩემპიონია, თუმცა ჭადრაკის ფედერაციამ ჯერ კიდევ 1975 წელს ჩამოართვა ეს წოდება.

ფიშერის იურიდიული დავა შარშან დაიწყო. საქმე იმაშია, რომ რელიგიურ კოლეჯ „ამბასადორის" სტუდენტებთან შეხვედრისას ფიშერმა გააკრიტიკა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „საეკლესიო ხელმძღვანელთა მდიდრული ცხოვრება" და ჩიოდა, რომ არმსტრონგის სწავლების გავლენით ეკლესიის მიმდევრებმა ჭკუის კონტროლი დაკარგეს და „გასულელდნენ".

სტუდენტთა ჯგუფმა „ამბასადორის" კოლეჯში გამოაქვეყნა ეკლესიასა და კოლეჯზე 90-გვერდიანი მოხსენება, რომელიც შეიცავს არა მარტო ვრცელ ინტერვიუს ფიშერთან, არამედ არმსტრონგის საწინააღმდეგო მთელ რიგ მასალებს. მასში აღნიშნულია, რომ ეკლესიის წამყვანი ხელმძღვანელები ძვირფას მამულებში ცხოვრობენ, დაფრინავენ საკუთარი თვითმფრინავებით. მოხსენებაში იყო ასეთი შეკითხვა — რაში იხარჯება 60 მილიონი დოლარი, რომელსაც წელიწადში ეკლესია შესაწირავების სახით იღებს.

ეკლესიის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ცილისწამებისთვის საქმეს აღძრავენ სტუდენტთა ჯგუფის წინააღმდეგ. მაგრამ ჯერ არ გაუკეთებიათ ეს.

ფიშერმა კი აღძრა საქმე სტუდენტთა ჯგუფის წინააღმდეგ და მოითხოვა სამი მილიონი დოლარი მისი საიდუმლოების უფლების უკანონოდ დარღვევისთვის, რამდენადაც მას თავისი ნათქვამის გამოქვეყნების ნება არ დაურთავს.

პარალელურად ფიშერმა დაადანაშაულა... ეკლესია, რომელსაც იგი შესაწირავს აძლევდა და რომელიც თავიდან დათანხმდა მის მიერ სტუდენტთა წინააღმდეგ აღძრული საქმის დაფინანსებას, ხოლო შემდეგ უარი განაცხადა. (საქდესი).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 10023